ფუძიამა

გაიხსენე, რა იცი იაპონიის ბუნების სილამაზის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაეცანი ამ ქვეყნის ერთ-ერთ საოცარ ადგილს.

ფუძიამა იაპონიის ყველაზე დიდი მთაა. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3776 მ-ია. თოვლით დაფარული მთა ულამაზეს ტყესა და საკურის (ალუბლის) ბაღებს დაჰყურებს. მის გარშემო კი ხუთი ტბაა.

ფუძიამა მიძინებული ვულკანია. 781 წლიდან დღემდე იგი 12-ჯერ ამოიფრქვა. ბოლოს მან 1708 წლის იანვარში გაიღვიძა. მისმა ფერფლმა ტოკიოს ქუჩები 15 სმ-ით დაფარა. ფიქრობენ, რომ ვულკანი ისევ გაიღვიძებს. თუმცა ზუსტად არ იციან, როდის.

ფუძიამა იაპონიაში წმინდა ადგილად ითვლება. ხალხის რწმენით, მთაზე ქალღმერთის სული ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სული ქალია, ძველად ქალებს მთაზე ასვლისა და ლოცვის ნება არ ჰქონდათ. პირველად ეს უცხოელმა ლედი პარკენსმა გაბედა. დღეს ამ მთაზე ასვლა ყველას შეუძლია.

ფუძიამაზე თოვლი მხოლოდ ივლისსა და აგვისტოში დნება. სწორედ ამ დროს ათასობით ადამიანი მიუყვება ხოლმე მთის **ბილიკებს**. გზადაგზა მათ შეუძლიათ დაისვენონ. მის **კალთებზე** აგებული ტაძრები მოილოცონ, ჩაიხანებს ესტუმრონ... ზოგი მათგანი მთაზე ღამით ადის. მათ სურთ, რომ მზის ამოსვლას მწვერვალზე შეხვდნენ. იქ ასვლას რვა საათი მაინც სჭირდება. თუმცა ეს რთული გზა არავის **აფერხებს**. მათ იციან, რომ მთიდან საოცარი სანახაობა ელით.

ტექსტი მომზადებულია „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

რა გაიგე შენთვის საინტერესო ფუძიამას შესახებ? სად გეგულება მსგავსი განსაკუთრებული ადგილი საქართველოში?

კომპონენტი: *მეკავშირება*, **დონე:** 3.1

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით არის ცნობილი ფუძიამა?

ა) იგი თოვლით დაფარული ლამაზი მთაა.

ბ) იგი იაპონიაში ერთადერთი მთაა.

გ) იგი იაპონიის ყველაზე მაღალი მთაა.

2 ფუძიამა ამჟამად არის:

ა) მიძინებული ვულკანი.

ბ) მოქმედი ვულკანი.

გ) ჩამქრალი ვულკანი.

3 იაპონელთა რწმენით, ფუძიამა წმინდა ადგილია, რადგან:

ა) მთაზე ასვლა ყველას სურს.

ბ) მთაზე ქალღმერთის სული ცხოვრობს.

გ) მთის ფერდობებზე ტაძრებია აგებული.

4 როდის არის ფუძიამაზე ასვლა ტურისტისთვის უფრო მოსახერხებელი?

ა) ზაფხულობით, როცა მთაზე თოვლი დნება.

ბ) ღამით, როცა მთაზე ნაკლები ადამიანია.

გ) წლის ნებისმიერ დროს, როცა მოისურვებს.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ათასობით ადამიანი მიუყვება **ბილიკს**.

   ა) დახვეულ გზას. ბ) ვიწრო გზას. გ) სწორ გზას.

2. ტურისტებმა მთის **კალთაზე** აგებული ტაძარი უნდა მოილოცონ.

   ა) მწვერვალზე. ბ) ფერდობზე. ბ) ძირას.

3. რთული გზა არავის **აფერხებს**.

   ა) აბრკოლებს. ბ) აღელვებს. გ) სიამოვნებს.

2 დააკავშირე ხაზებით საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. გზადაგზა	თავში
2. ბოლოს	დაახლოებით
3. ზუსტად	ერთბაშად

გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ვულკანმა 1708 (*წელი*) ---------- იანვარში გაიღვიძა.
2. მთა (*ალუბალი*) ---------- ბაღებს დაჰყურებს.

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	[X] *დაყურებს.*	[ ] *დაჰყურებს.*
1.	[ ] ხუთი ტბები.	[ ] ხუთი ტბა.
2.	[ ] გზა და გზა.	[ ] გზადაგზა.
3.	[ ] შეხვდენ.	[ ] შეხვდნენ.

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ძალიან ლამაზი — ულამაზესი.

1. ძალიან დიდი – ---------- .
2. ძალიან მაღალი – ---------- .

4 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ის, რამაც მიიძინა, არის მიძინებული.

1. ის, რამაც გაიღვიძა, არის ----------.
2. ის, რაც ამოიფრქვა, არის ----------.
3. ის, რაც დაიფარა, არის ----------.

წერა

1 **დაწერე, რა გაიგე ფუძიამას შესახებ.**

2 **წარმოიდგინე, რომ მეგობრებთან ერთად იყავი ასული ფუძიამას მთაზე. გვიამბე ამ დღის შესახებ:** როგორი ამინდი იყო, რა ნახე, რა მოგეწონა ყველაზე მეტად და სხვ. **შენი ნაწერი გააფორმე ნახატით.**